www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

# დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი

## 2025 IV კვარტალი

18.03.2026
www.geostat.ge

18.03.2026

## დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი (2025 წლის IV კვარტალი)

2025 წლის IV კვარტალში საქართველოში საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 11.2 პროცენტით (248.7 ლარით) გაიზარდა და 2 466.2 ლარი შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი 2020-2025 წლებში, კვარტალების მიხედვით.

დიაგრამა №1

**საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი კვარტალების მიხედვით**

(ლარი)



საქმიანობის სახეების მიხედვით შედარებით მაღალი ხელფასი დაფიქსირდა შემდეგ დარგებში:

- ინფორმაცია და კომუნიკაცია - 4 373.2 ლარი (წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა 9.1 პროცენტით);
- მშენებლობა - 3 938.9 ლარი (გაიზარდა 17.2 პროცენტით);
- საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები - 3 747.7 ლარი (გაიზარდა 11.1 პროცენტით);
- სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება - 3 386.5 ლარი (გაიზარდა 31.8 პროცენტით).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია საშუალო თვიური ხელფასი ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით 2024 და 2025 წლების IV კვარტალში.

დიაგრამა №2

**საშუალო თვიური ხელფასი საქმიანობის სახეების მიხედვით, 2024 და 2025 წლების IV კვარტალში**

(ლარი)



18.03.2026

2025 წლის IV კვარტალში ქალების საშუალო ხელფასი 1 952.5 ლარი, ხოლო კაცების - 2 978.9 ლარი იყო. ხელფასების წლიურმა ზრდამ ქალებში 173.9 ლარი (9.8%) შეადგინა, ხოლო კაცებში - 325.1 ლარი (12.2%). საქმიანობის სახეების მიხედვით კაცების ხელფასი თითქმის ყველა სექტორში აღემატებოდა ქალების ხელფასს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი სქესობრივ ჭრილში, 2020-2025 წლებში, კვარტალების მიხედვით.

დიაგრამა №3

**საშუალო თვიური ხელფასი სქესის მიხედვით**

(ლარი)



18.03.2026

2025 წლის IV კვარტალში სამეწარმეო (ბიზნეს) სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი გაიზარდა 241.3 ლარით (10.2%) და 2 608.4 ლარი შეადგინა. საქმიანობის სახეების მიხედვით ყველაზე მაღალი ხელფასი დაფიქსირდა ინფორმაციის და კომუნიკაციის (4 433.4 ლარი, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა 8.7 პროცენტით) და მშენებლობის (3 943.4 ლარი, გაიზარდა 17.2 პროცენტით) სფეროებში.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ბიზნეს სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი 2020-2025 წლებში, კვარტალების მიხედვით.

დიაგრამა №4

**ბიზნეს სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი**

(ლარი)



18.03.2026

2025 წლის IV კვარტალში არასამეწარმეო და საფინანსო სექტორში საშუალო თვიური ხელფასი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 254.8 ლარით (13.0%) გაიზარდა და 2 210.2 ლარი შეადგინა. საქმიანობის სახეების მიხედვით შედარებით მაღალი ხელფასი აქვთ საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობებში დასაქმებულებს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია არასამეწარმეო და საფინანსო სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი, 2020-2025 წლებში, კვარტალების მიხედვით.

დიაგრამა №5

**არასამეწარმეო და საფინანსო სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი**
(ლარი)



საშუალო ხელფასის სიდიდის მიხედვით რეგიონებში ლიდერია ქ. თბილისი და მცხეთა-მთიანეთი.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2025 წლის IV კვარტალში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი რეგიონების მიხედვით.

დიაგრამა №6

**საშუალო თვიური ხელფასი რეგიონების მიხედვით***
(ლარი)




*ზოგიერთი საწარმო და ორგანიზაცია წარმოდგენილია სათაო ოფისის ადგილმდებარეობის მიხედვით.

## შენიშვნები

რელიზში გამოყენებულია ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკაცია, რომელიც ეფუძნება ევროპულ სტანდარტს **NACE rev.2.**

სექციების დასახელებები:

| | |
|---|---|
| **A** | სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა |
| **B** | სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება |
| **C** | დამამუშავებელი მრეწველობა |
| **D** | ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება |
| **E** | წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები |
| **F** | მშენებლობა |
| **G** | საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი |
| **H** | ტრანსპორტი და დასაწყობება |
| **I** | განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები |
| **J** | ინფორმაცია და კომუნიკაცია |
| **K** | საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები |
| **L** | უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები |
| **M** | პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები |
| **N** | ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები |
| **O** | სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება |
| **P** | განათლება |
| **Q** | ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები |
| **R** | ხელოვნება, გართობა და დასვენება |
| **S** | სხვა სახის მომსახურება |

**საკონტაქტო პირები:**
ვასილ წაქაძე, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (600). E-mail: vtsakadze@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: mkavelashvili@geostat.ge